# ივერია

№ 236 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 236

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . 10 მ. — კ. | |
| 11 ,, | . . 9 ,, 50 ,, | |
| 10 ,, | . . 8 ,, 75 ,, | |
| 9 ,, | . . 8 ,, — ,, | |
| 8 ,, | . . 7 ,, 25 ,, | |
| 7 ,, | . . 6 ,, 50 ,, | |
| 6 ,, | . . 6 ,, — ,, | |
| 5 ,, | . . 5 ,, 50 ,, | |
| 4 ,, | . . 4 ,, 75 ,, | |
| 3 ,, | . . 3 ,, 50 ,, | |
| 2 ,, | . . 2 ,, 75 ,, | |
| 1 ,, | . . 1 ,, 50 ,, | |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## სამკერვალო ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შესაკერად**

**უველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

---

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—19).

---

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად სასურათო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

იმავე პროგრამით ᲓᲐ იმავე რედაქტორობით წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დორისმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

---

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ქხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

**Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.**

წლ.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 15 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. და სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ვიკნემსკისა, ნიკიტსკისა, მიხაილოვსკისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა, ზასლავსკისა, ფერრარი და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, ობრაზცოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლეჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი. კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 16 ოკდომბერს,

მეორე «გალა» წარმოდგენა ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ვერთერი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსენესი.

კვირას, 17 ოკდომბერს

გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის. ბ-ნ ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## კარმენი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელდერი.


---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

შეუბრალებელი ჟლეტა ხალხისა. გაზეთ «რუსსკოე სლოვო»-ს კორესპონდენტები იწერებიან მუკდენიდან 5—6 ოკდომბერს: განუწყვეტლივ მოჰყავთ დაჭრილნი ვაგონებით. ძალიან მძიმე პირობებშია ჩაყენებული მათი მოგზაურობა მუკდენის რკინის გზაზედ. ბევრ ვაგონებში ცარიელ ფიცრებზედა წვანან დაჭრილნი, ზოგში კი თხლადა ყრია ძირს ჩალა. ვათვალიერებდით საღამოთი მოსულ ვაგონებს, დაჭრილებით ავსებულს. ერთ ვაგონში 26 იაპონელი იყო. ყველამ სალამი მოგვცეს. მათში ვერც ერთს ვერა ჰნახავდით დაღონებულს. მსუბუქად დაჭრილნი თავიანთის სურვილით ჩალაზედ უთმობდნენ ადგილს მძიმედ დაჭრილ ამხანაგებს და თითონ კი გამხმარ ფიცრებზედა წვებოდნენ. მშვენივრად იყვნენ ჩაცმულნი თბილ ტანისამოსში. თვით ბრძოლის ველზედ ხშირია შემთხვევა, რომ იაპონელები შეუხვევენ რუსებს ჭრილობას, დაურიგებენ საჭმელ-სურსათს და ეუბნებიან: „ჩვენ წავალთ და თქვენ აქ დაიცადეთ. ცოტახანს უკან მოვლენ თქვენი კაცები და წაგიყვანენ, ნუ გეშინიანთო“. პუტილოვის სანგრებში მრავალი მკვდარი რუსი და იაპონელი იწვა. მტრის უნტერ-აფიცრები ჩინებულად იყვნენ გამოწყობილნი საზამთრო ტანთსაცმელში. ყველა მათგანს ჰქონდა ხელზედ სამაჯური, კომპასით მორთული. მათი და თვით ჯარის კაცის ფეხსაცმელი ხომ საუცხოვო იყო. რამწამს პუტილოვის მთა ავიღეთ და მტერი განვდევნეთ, ჩვენმა ჯარის კაცებმა სიხარულით ჩაიცვეს მოკლულ იაპონელების თბილი ტანთ და ფეხთსაცმელები. ბევრს უკანასკნელთაგანს შუბებიც კი ეცვათ. სანგრებში ხშირად შეგხვდებოდათ ასეთი სანახაობა: რუსი და იაპონელი ხელი-ხელს ჩაკიდებულნი ასვენიან. ეტყობა დასტაკებიან უკანასკნელს წამებში ერთმანეთს ლონემიხდილნი და სწორედ ამ დროს ამოჰხვლიათ ორთავეს სული. საშინელი სანახაობაა! ჯერ არ უნახავს ქვეყნიერობას ასეთი საზარელი ომი, ასეთი შეუბრალებელი ჟლეტა ხალხისა და ამოდენა უთვალავი ზარალი. (რუს. სლ.).

—

მოჰხდება კვლავ დიდი ომი მუკდენთან თუ არა? ეს საკითხი შეადგენს საგანს გერმანელთა და ინგლისელთა სამხედრო კაცების გამოძიებისას. ბერლინის წრეებში ჰფიქრობენ, რომ გენერალი კუროპატკინი დღევანდელს თავის მარჯვე მდგომარეობას გამოიყენებს იმაზედ კი არა, რომ ხელმეორეთ მიიტანოს სატევი იერიში იაპონელებზედ, არამედ ეცდება დაიწიოს მუკდენის სიმაგრეებისაკენ. მართალია, ბევრი ლაპარაკი იყო, ვითომც მდინარე შახეზედ რუსების სასარგებლოთ შეცვლილიყოს ომის ვითარება, მაგრამ, როგორცა ვხედავთ რუსისა და იაპონიის შტაბების დეპეშებიდან, ეს ვითარება არც თუ ისე შესამჩნევათ გამოცვლილა შედარებით იმასთან, რაც იყო ამ თვის დასაწყისში. ვიდრე იაპონელებს არ მოუკრებნიათ ღონე, რომ უფრო მკვიდრათ მოიკიდონ ფეხი მდინარე შახეს მარცხენა ნაპირებზედ, რომელთა წინააღმდეგაც ასეთის მუქარით არის მიმართული რუსების უმთავრესი ძალა, გენერალ კუროპატკინისათვის აუცილებლად საჭიროა გააცალოს ჯარი თვით მუკდენს და გამოიყვანოს იგი სამშვიდობოში ტელინისაკენ, მით უმეტეს, რომ მარშალ ოიამას შეუძლიან ამ მდინარზედ გადმოიყვანოს აღმოსავლეთიდამ კუროკის ჯარები და დასავლეთიდან პრინც ფუშიმასი. ძრიელ საეჭვოა, რომ შახეზედ კვლავ მოჰხდეს დიდი ბრძოლა შემდეგ იმისა, რაც ამ ადგილებში რუსებსა და იაპონელებს ათის დღის განმავლობაში მოაკლდათ, თითქმის ასი ათასი ჯარის კაცი, მოკლული თუ დაჭრილი. ინგლისის სამხედრო ავტორიტეტები კი იმ აზრისანი არიან, რომ მოპირდაპირენი ვერ შეასუსტა ამოდენმა ზარალმა იქამდე, რომ აღარ შეეძლოთ ბრძოლის განგრძობა, და მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ ამ დღეებში გენერალი კუროპატკინი განაახლებს დიდს სამხედრო მოქმედებასაო. (რუს. ვ.).

—

ბალტიის ესკადრა. დიდი შიში იყო გავრცელებული მთელს ევროპაში, რომ ბალტიის ესკადრას დაჰხვდება თვით ბალტიის ზღვაზედვე იაპონელთა სამხედრო გემებიო. შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ იაპონელები ვიწრო სრუტეებში ნაღმს აუფეთქებენ და დაახიანებენ რუსის გემებსაო, მაგრამ ეს შიში სრულებით უსაფუძვლო გამოდგა, და ასეც უნდა ყოფილიყოო—ამბობს «რუსსკია ვედომოსტის» სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ.—ნუთუ არ იცის ვინმემ, რომ ნაღმოსან გემების ტარება ოკეანეზედ ათი ათასის ვერსის მანძილზედ და ისიც ომის დროს მოუხერხებელია და ამასთანავე უაზროა, რადგან ეს გემები ვერას დააკლებენ უზარმაზარ ჯავშნიან გემებს, როდესაც უკანასკნელნი მოძრაობაში არიან. ნაღმოსანი საშიშია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯავშნიანი უმოძრაოთა სდგას. ან კიდევ რა ჰკავში მოსასვლელია, რომ იაპონელნი ევროპის ზღვებში შეებრძოლებოდნენ რუსის ესკადრას, როდესაც მათთვის უფრო უპრიანია ბრძოლა თავიანთ სახლის კარის წინ, დიდ ოკეანეში. თხუთმეტი ათასი მილი გაიაროს სამხედრო გემმა და იქ შეებრძოლოს მტერს, ამით ხომ თითონვე გაიძნელებს საქმეს? მაშინ ადმირალ ტოგოს ჩვენი დღე დაადგებოდა და რისთვის უნდა ეკისრნა ეს სიძნელე, როდესაც ჩვენი ესკადრა თითონ მიდის მასთან. მტრის დატაკების მოლოდინი მხოლოდ მაშინ დაგვეწყობა, როდესაც ადმირალი როჟდენსტვენსკი ჩავა დიდ ოკეანეში. წარმოვიდგინოთო,—სწერს ბ-ნი მ. ვ.,—რომ ჩვენი მეორე ესკადრა სრულებით უზარალოთ ჩავიდა დიდ ოკეანეში და დაუპირდაპირდა იაპონიისას; შედარება გვიჩვენებს, რომ ჯავშნიანი გემები და კრეისერები ადმირალ ტოგოს ეყოლება 38, ხოლო ადმირალ სკრიდლოვს კი 27, ნაღმოსანი პირველს ეყოლება ოთხმოც-და ათამდე, ჩვენ კი სულ ოც-და ათი, ზარბაზნებითაც ჩვენზედ წინ იქნება, რადგან იმასა აქვს 682 საზღვაო ზარბახანი და ჩვენ კი 623. მართალია, ნაღმოსანი ბევრს არას წარმოადგენს საზღვაო ომში, სადაც ბრძოლის ბედს ზარბაზანი სწყვეტავს, და არა ტორპედი, მაგრამ მაინც ძალაა ზოგიერთ შემთხვევაშიო.

—

სამხედრო ექიმის წერილი ომის ველიდან. ხარბინიდან სახედრო ექიმი შემდეგს ცნობებს იძლევა იმავე გაზეთში: 27 ავგისტოს ჩამოვედით მუკდენში. აქა ვნახეთ უკან დაბრუნებული ურმები სურსათისა და იარაღისა, ჯარები დაფლეთილ ტანთსაცმელში, ფეხშიშველა და თავტიტველა. სადგურზედ საშინელი არეულობა და ფაცა-ფუცია, ახალი ჯარები ჩამოჰყავთ ვაგონებიდან, ზედ აწყობენ იაპონელებისაგან დამტვრეულ ზარბაზნებს და სხვანი. მოგზაურობა მეტად საძნელო გამოდგა. ხანდახან მატარებელს მთელ დღე და ღამეს გააჩერებდნენ შუა გზაში სავარაუდო ლიანდაგზედ, სადაც ვერაფერს ვერ იშოვნი, წყალიც კი არ მოიპოვება. სანიტარულ მატარებლებს, სადაც ათასობით წვანან დაჭრილები, არავითარი უპირატესობა არა აქვთ მინიჭებული. იშვიათი ამბავი არ არის, რომ ჯერ ისტუმრებენ მატარებელს, რაშიაც აწყვია დამტვრეული და უვარგისი ზარბაზნები და ლიანდაგის რელსები, და ექიმები კი სანიტარულ ვაგონებში ელიან და უცქერიან საშინელს სურათს სიკვდილისას, რომელიც თავს დასტრიალებს მძიმედ დაჭრილებს; საოპერაციო ვაგონიც კი არა გვაქვს, რომ შემწეობა რამ აღმოუჩინოთ ტანჯულ ავადმყოფებს. ძლივს მეოთხე დღეს ამოვედით მუკდენიდან ხარბინს, მაგრამ აქაც საავადმყოფოები იქამდე გაჭედილი აღმოჩნდა. რომ დაჭრილებით დატვირთული ვაგონები რამდენისამე დღის განმავლობაში იქ უნდა მდგარიყვნენ და ბინათა ჰქონოდათ სამ მესამედს ავადმყოფებისას. მერე როგორი ბინა! დაჭრილები პირდაპირ ვაგონების იატაკის ტიტველა ფიცარზედ უნდა წოლილიყვნენ. აქვე სჭამდნენ, აქვე იკმაყოფილებდნენ ბუნებრივ მოთხოვნილებას და აქვე უტევდნენ წამებულ სულსა. მეტადრე სავალალოა მდგომარეობა სახადიანებისა და ფაღარათიანებისა, რომელთაც მარტო საქონლის ვაგონებით ეზიდებიან. თვით ხარბინის საავადმყოფოებთან გამართულია მისაღები ადგილი, სადაც სდგას უშველებელი საერთო საწოლი რამდენისამე ასის კაცისთვის. ამ საწოლზედ რაოდენისამე დღის განმავლობაში ელიან დაჭრილნი, ვიდრე მათ შეჰხვდებათ ჯერი ჭრილობის შეხვევისაო,—ასე ათავებს თავის წერილს სამხედრო ექიმი.

# ახალი ამბავი

**მისალოცი დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრს.** ბათუმის ქალაქის საბჭომ 11 ოკდომბერს ერთხმად დაადგინა, გაუგზავნოს მისალოცი დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრს თავ. პ. დ. სვიატოპოლკ მირსკის, შემდეგის შინაარსისა:

«ქალაქის საბჭომ ნორჩის ქალაქის ბათუმისამ, სადაც თქვენის ბრწყინვალების მამამ, დაუვიწყარმა ამ მხრისათვის თავ. დიმიტრი ივანეს ძემ, შემოიყვანა 1878 წელს ძლევა-მოსილი რუსის ჯარი და რომელმაც მშვიდობიანობის საფუძველი დაუდვა ჩვენს ქალაქს, ღრმად გახარებულმა თქვენგან წარმოთქმულის სიტყვებით. ხელმწიფე იმპერატორისაგან თქვენთვის ჩაბარებულის სახელმწიფო მმართველობის ერთ უმთავრეს ფუნქციის პირველსავე დღეს, მოხარულმა იმ სიტყვებით, რომლითაც თქვენ ნდობა გამოუცხადეთ საზოგადოებრივ დაწესებულებათ,—11 ოკდომბრის კრებაზედ დაადგინა, გამოუცხადოს თქვენს ბრწყინვალებას განუსაზღვრელი მადლობის გრძნობანი იმ ფრიად მნიშვნელოვანის სიტყვებისა და სურვილისათვის, რომლის განსახორციელებლადაც დიდი ხანია დაბეჯითებით მიილტვოდა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მთელის თვალ-გადაუწვდენელის რუსეთისა, როგორც ჩრდილოეთში, ისე აქ, განაპირა სამხრეთშიაც“.

*** **მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე** სტატს-სეკრეტარი ს. ი. ვიტტე სოჭიდგან მივიდა ნოვოროსიისკს, საიდგანაც პეტერბურგს გაემგზავრა.

*** **ჟურნალისტთა მოსამზადებელი კურსები.** მოსკოვში განუზრახავთ «სამეცნიერო და პრაქტიკულ კურსების დაარსება ჟურნალისტთა მოსამზადებლად». ეს საგანი ამ დღეებში განუხილავს საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს, აკადემიკოსის ნ. ი. სონინის თავმჯდომარეობით. ამ საქმის თაოსნობა ეკუთვნის დამსახურებულ პროფესორს ლ. ვლადიმიროვს, რომელსაც პროგრამმა უკვე შეუმუშავებია. კურსების დანიშნულება ის არის, რომ იმათ, ვისაც იურიდიული განათლება არ მიუღიათ, რაც ასე ძლიერ საჭიროა ჩვენს ეპოქაში, შეასწავლოს ეთიკურ-იურიდიული მეცნიერება, რომელიც აუცილებელია პუბლიცისტიკისათვის. მეცადინეობა კურსებზედ იქნება არამც თუ მარტო თეორეტიული, არამედ პრაქტიკულიც, მაგალითად, მოწინავე წერილებისა, სხვა-და-სხვა საზოგადო კრებათა ანგარიშებისა, რეცენზიებისა, სასამართლოს სხდომის ანგარიშებისა, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებისა, კორექტურისა და სხვა ამ გვარების შედგენა; ამ ლექციების კითხვა იქნება მოსკოვში, სამ სემესტრში, თითოეულში ოთხ თვეს. კურსებზედ, სხვათა შორის, შეისწავლიან პოლიტიკურ ეკონომიას, სტილისტიკას, ლიტერატურის ისტორიას რუსულისა და უცხო ენისას, ბეჭდვითი სიტყვის ისტორიას, [illegible] თეორიას, სტენოგრაფიას და სხვ.

*** **ბოქაულ ფილიმონოვის [illegible].** [illegible]შინ მოხსენებული გვქონდა ბოქაულ ფილიმონოვის დაჭრის ამბავი. [illegible] პალმის გაზეთი შემდეგს დაწვრილებით ცნობას გადმოგვცემს ფილიმონოვის დაჭრის თაობაზედ: 12 ოკდომბერს ფილიმონოვი თურმე მდგარა ნავთსადგურზედ, დაცლილ გემის „Восточная Звѣзда“-ს მახლობლად და მუშებს ელაპარაკებოდა. როდესაც ბოქაული მუშებს მოშორებია და ზღვის ნაპირად წასულა, უკანიდგან რევოლვერი გავარდნილა და მოჰხვედრია წელში, ხერხემლებთან. ფილიმონოვს გრძნობა არ დაუკარგავს, ამოუღია რევოლვერი და გამოსდევნებია მსროლელს, უსვრია ორჯერ, მაგრამ ვერ მოუხვედრებია. ბოქაულის დამჭრელი ხალხში დაიმალა. 11 ოკდომბერს ბოქაულ ფილიმონოვს მიუღია უსახელო წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, გაფრთხილდი, უნდა მოგკლათო.

*** **მძარცველთა შეპყრობა.** იმავე გაზეთის სიტყვით, 11 ოკდომბერს, საღამოს 9 საათზედ, ხ კაცი, თოფებით, რევოლვერებითა და ხანჯლებით შეიარაღებულნი, თავს დასხმიან სადგურ ჯუმათისა და ლანჩხუთის შუა გზის დარაჯებს—თომა ფარაიასა და ივანე ზოიძეს. პირველისათვის წაურთმევიათ 19 მან. 80 კაპ., ხოლო მეორისათვის—20 მან. და მსუბუქადაც დაუჭრიათ. ეს ამბავი უცნობებიათ სად. ლანჩხუთში ჟანდარმის საბაჩკინისათვის, რომელსაც მიუმართავს ლანჩხუთის ნაწილის ბოქაულის ბ-ნ ქავთარაძისათვის. ამათ 12 ოკდომ., დილით, სოფ. ლესსა და ჩიბათში დაუჭერიათ 4 თავდამსხმელნი. მეხუთის შესაპყრობად ღონისძიებანი უკვე მიიღეს.

*** **მოკვლის განზრახვა.** ბაქოში მცხოვრებმა კერძო ვექილმა ბ-ნმა ტომაშევსკიმ განუცხადა ბაქოს პოლიცმეისტერს,—9 ოკდომბერს, ღამით ჩემს სადგომში შემოვიდა უბნის ზედამხედველად (околоточный надзиратель) ნამყოფი პოკროვსკი და მოინდომა ჩემი მოკვლა, მაგრამ ადრევე შევამჩნიე და დავიჭირეო. როგორც აღმოჩნდა, უბნის ზედამხედველს პოკროვსკის მოუპარავს წინად ნივთები ბ-ნ ტომაშევსკისათვის, რის გამოც ამა უკანასკნელს პასუხის გებაში მიუცია და სასამართლოს გადაუწყვეტია დამნაშავისათვის ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ციხეში დაპატიმრება. სასამართლოს განაჩენი პოკროვსკის უკვე მოუხდია და ეხლა ჯავრის ამოყრა უნდოდა თურმე, დამნაშავე შეიპყრეს.

*** **ხოლერა ბაქოში.** 10 ოკდომბერს ხოლერით ავად გამხდარა 4 კაცი, გარდაცვლილა—1; 11 ოკდომბერს ავად გამხდარა 4 კაცი, გარდაცვლილა 3.

*** **მიმოსვლის წესრიგის გამოცვლა.** დღეიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ მატარებლები სიარულს დაიწყებენ ახალის წეს-რიგით, რომელიც ზამთრისათვისაა შემოღებული.

*** **სათადარიგო ჯარის გამოწვევა ხონში.** კვირას, 10 ოკდომბერს, ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსის განკარგულებით, დ. ხონის საბოქაულოდან ხონში შეიკრიბნენ სახელმწიფო სამსახურში ყოფილნი და ამ ჟამად სათადარიგო ჯარში ჩარიცხულნი ახალგაზდანი.

ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსმა ხონის საბოქაულო სამმართველოში გამოცხადებული ჯარის კაცნი დაათვალიერა, გამოართვა თვითეულად ყველას ნამსახური წიგნაკები და თავის ბეჭდით შეამოწმა. სამხედრო უფროსმა აუწყა სათადარიგო ჯარის კაცთ, რომ ვისაც სამსახურის დასრულების შემდეგ ავადმყოფობა დასჩემებიათ, შეიტანონ ქუთაისის მაზრის სამხედრო საკრებულო თხოვნა, ქუთაისის მაზრის საკრებულო შეამოწმებს განცხადების შემომტანის ჯანმრთელობას და თუ დამტკიცდა, რომ მართლა ავადაა, სათადარიგო ჯარის კაცთა რიცხვიდგან გამორიცხვენ და სრულიად გაანთავისუფლებენო. წიგნაკების შემოწმების შემდეგ სამხედრო უფროსმა ჯარის კაცნი სახლში გაუშვა; თუმცა ზოგიერთნი კი ჰფიქრობდნენ, ბრძოლის ველზედ გაგვგზავნიანო. ბევრნი არ გამოცხადდნენ დანიშნულ დროს ხონში და თუ რაიმე საპატიო და სასამართლებული მიზეზები არ წარმოადგინეს, მთავრობა დააჯარიმებს.

*** **ახალგაზდათა კენჭის ამოღება.** დღეს, 15 ოკდომბერს, დილის 8 საათზედ, დაიწყება კენჭის ამოღება იმ ახალგაზდათა, რომელნიც წელს გაიწვიეს ჯარში; კენჭის ამოღება მოხდება ქალაქის გამგეობის სადგომში, ერევნის მოედანზედ.

*** **ქართული ოპერა.** როგორც ამას წინად ვწერდით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაამტკიცა წესდება ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა. საქმის მეთაური ამ დღეებში დამტკიცებული წესდებაც მიიღეს და შეუდგნენ მზადებას მოქმედების დასაწყებად. როგორც „ცნ. ფურც.“-ს გაუგია, ამ ცოტა-ხანში მოხდება პირველი საზოგადო კრება. კრება დილით იქნება, ხოლო საღამოთი გაიმართება საოპერო წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალიც გადაიდება საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად. წარმოადგენენ როსსინის ოპერას «სევილიელი დალაქი». უმთავრესი როლები უკვე დანაწილებულია: დონ-ბაზილიოს პარტიას შეასრულებს ი. აგასოვი, როზინასას—ე. მიტკევიჩის ქალი, ფიგაროსას—ა. ყანჩელი, გრაფ ალმავივასას—ა. რჩეულიშვილი და ბარტოლოსას—ვ. ა. აბაშიძე, კრება გამგეობის ასარჩევად მოხდება ნოემბრის შუა რიცხვებში.

*** **ომში დაჭრილი ქართველი.** ლიაოიანის ომში დაუჭრიათ, სხვათა შორის, 1 ქართველი, ბარნაულის მე-12 პოლკის პოდპოლკოვნიკი იასონ ალექსანდრეს ძე ახვლედიანი.

*** **საბავშო თავშესაფარი.** თავ. პორფირე ბარათაშვილის ქალიშვილებს ტფ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ იმის თაობაზედ, რომ ნება დართოს ტფილისში დააარსონ საბავშვო თავშესაფარი.

*** **ქართულ სკოლების მასწავლებელნი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ თავის სკოლების მასწავლებლებად დანიშნა ბ-ნნი მღ. გობეჩია—სოფ. დიდგომარეთში, ს. ჯორბენაძე—სოფ. კალმახიაში და ესტ. ლომიძე—სოფ. რეხაში.

*** **რუსეთის ფოსტა** გუშინაც არ მიგვიღია. ნეტა რას მივაწეროთ ასეთი უწესრიგობა? ხომ შესაძლებელია, რომ ბაქო-ბალაჯარის გზით მოვიდეს ფოსტა? ყოველ წელს ამ დროს საქართველოს სამხედრო გზაზედ ხან ზვავია, ხან კიდევ თოვლი, რის გამოც ფოსტა თავის დროზედ ვერ მოდის და ამისთანა ძვირფასი დრო გზის მოხელეთა დაუდევრობის გამო უნდა იკარგებოდეს!.. კარგი იქნება, ერთხელ და სამუდამოდ მოეწყოს როგორმე ეს საქმე.

# საქართველო

**შუა ქართლი. ჩვენი ავ-კარგი.** თუ დღეს საქართველოს ყველა კუთხის ერი იღვიძებს და განათლებისაკენ მიიშურება, ამ დროს შუა ქართლი ძილისაგან ვერ გამორკვეულა. ჩვენში ცხოვრების გაუმჯობესობისათვის არავინ იბრძვის, ყველა პატრიარქალურ წეს-წყობილებას ბრმად თაყვანსა სცემს და მამა-პაპურ მონურ ცხოვრებაში გაბმულ-გახლართულნი, ქედმოხრილნი მძიმე უღელსა სწევენ. ჩვენის დაქვეითების მრავალ მიზეზთა შორის უმთავრესია გაუნათლებლობა სკოლების სიმცირისა გამო; ეს ნაკლი კი ჩვენისავე შეუგნებლობის და უკიდურეს სიღარიბის ბრალია. ქართლელი გლეხი ძლიერ გულგატეხილია, თავი ვერ დაუღწევიათ მრავალ გარდასახადებისაგან; დღე და ღამ სოფლის ჭამია ნადირები საბრალო გლეხობას მოსვენებას არ აძლევენ: არბევენ ოჯახს, უყიდიან მეათედ ფასად საქონელს (ასეც მოხდა, რომ ერთ სოფელში ერთი ხარი ორ მანეთად გაჰყიდეს), სტაცებენ ავეჯეულობას და ამასთანავე მამა-კაცს თუ დედა-კაცს უწყალოდა ტყებენ. გაალმასებული გლეხი თუ რამეს იხმარებს მოსაგერებლად ან შესაშინებლად, მაშინვე სოფლის ნადირები «პოსუდში» აძლევენ და «კანცერში» გდებით მშიერ-მწყურვალს სულს აძრობენ. ერთი ასეთი შემთხვევაც მომხდარა, რომ შიმშილისაგან შეწუხებულს სამოცდა ათის წლის მოხუცს დანით ყელი გამოუღადრია...

ადამიანს რკინის გული უნდა ჰქონდეს, რომ სადის თვალით დაინახოს ჩვენის გლეხობის ყოფა-ცხოვრება, გული გიკვდება, სული ყელში გებჯინება, ნერვები გეშლება, გიდუნდება, ჭკვა გიბრუვდება, გონება გებნევა და ტანში რაღაც მოულოდნელი ჟრუანტელი ელექტრონივით გივლის, როდესაც ჰხედავ მიტეტკილ-მინედილს, ქანც-მილეულ, სისხლის ოფლში გაწურულს და წელში ათასად მოკაკულ დაუდალავს მუშას თავის ტიტლიკანა ცოლ-შვილითა.

ფული!—აი ყველას იდეალი, აი ყველას მეფედ მეუფე, ღმერთზე უდიდესი. ფულით იზომება ადამიანის სიდიდისი, სულიერი მდგომარეობა და მისი ვინაობა, მისი «მე». ფული გაქვს, ყველას თვალში უზიხარ, გულის ვარდი ხარ, ტყუილს მართლად გაიყვანთ. არა გაქვთ ფული, ყველასაგან დავიწყებული ხართ.

წრევანდელმა წელიწადმა გაცილებით ნაკლები მოსავალი მოგვცა შარშანდელზე. ბევრი სოფლები გაზაფხულზევე დასეტყვა, ასე რომ დასეტყვილ ადგილებში მოსავალი იოტის ტოლაც არ მოსულა. ღვინო ხომ სრულებით შემოსწყრა ჩვენს გლეხობას: ეს ხუთი წელიწადია, რაც ვენახებს ხეირიანი მოსავალი არ მოუცია. ამ გაჭირვებას ზედ დაერთო ბეგარა. ცისმარე დღე დაწანწალობენ «სტრაჟნიკები» სოფლებში: კომლზე კაცი უნდა წამოხვიდეთ, ცხინვალში გზები და საყასბო შესაკეთებელი და გასაკეთებელიაო. ცხინვალში ქუჩები ისე, მინგრეულ-მონგრეულია, სიმყრალეა, უწმიდურების სამარეა, მეტადრე ურიების ქუჩები. «ლოლოვა» კი ლეგა-ჰრიჰინასავით დახტის, დაქეიფობს და საქმეს კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

მოდი და მოკლედ მოვთხოვოთ ჩვენს ცხინვალს ანგარიში: 1) რა უყვეს სამკითხველოსათვის შეგროვილ შვიდი თუმანს? 2) ცეცხლის საქრობ მანქანების შესაძენად წარმოდგენილ ნაშოვნ ფულებს? 3) რად დაანგრიეს «ლოლოვას» განკარგულებით სომხებმა ქართველების ნაშთი—კოშკი? 4) როტონდა, ეს ხალხის ფულით აშენებული გასართობი წარმოდგენებისათვის გასამართავად სამინისტრო სკოლად რად გადააქციეს?

წელ მიწის გაზომავმა «კომისიამ» გაუჭირა საქმე გლეხ-კაცებს. ზოგიერთა გაძვალ-ტყავებულმა «კნიაზებმა» გლეხებს საკუთარი მამულები სადავოდ დაუდეს, თუ გლეხი ხუთს, ან ათ მანეთს მისცემდა, ხომ კარგი, თუ არა და დავას უცხადებდნენ. გლეხობის უვიცობით ისარგებლეს «პატიოსანმა» რაინდებმა და ჯიბეები დაისქელეს. ამბობენ, ერთს «კამისიონერს» ერთ «კნიაზთან» ცილაობა მოსვლია, ზოგი მეც გამიყავო. საქმე სასამართლომდე მივიდა, მოსამართლემ გამომძიებელს გადასცა.

# ფელეტონი

### მეორე საუბარი

#### ჩვენს სასოფლო მეურნეობაზედ.

(დასასრული *)

მაგრამ ჩვენს აზნაურობას დიდი ღვაწლიც მიუძღვის სამშობლოს წინაშე. კაცთა ნათესავი არას დროს არ ყოფილა მხოლოდ ერთთა მშრომელთა ოჯახი. როდესაც ერთს ნაწილს ერისას გუთანი და კალამი ეჭირა ხელში, მეორე მისი ნაწილი, თავით ფეხებამდე აღჭურვილი, დარაჯად უნდა მდგარიყო მტრის მოსაგერებლად. ეს თუობა წარმოადგენდა მიუცილებელ საჭიროებას, ურომლისოდაც არა თუ შთასახვა კულტურის და ცივილიზაციისა, თვით არსებობაც შეუძლებელი იყო. სადაც ეს თავის დაცვის საქმე არ მოეწყო, ერმა, როგორც დამოუკიდებელმა საპოლიტიკო სხეულმა, დაჰკარგა თვისი არსებობა ან და სულაც აღიგავა მისი ხსენება პირისაგან ქვეყნისა. ეს ყოველთვის ასე იყო და დღეს, არა თუ უკეთესობას, მხოლოდ ერთს უარესობასა ვხედავთ. დაწინაურებულნი დიდნი და მცირენი სახელმწიფონი ართმევენ თავიანთ ქვეყნებს საუკეთესო მაწარმოებელ ძალას ამ საქმის მოსაწყობად და ანდომებენ დიდს ნაწილს სახელმწიფო შემოსავლისას. მთელი განათლებული ევროპა ბანაკად არის გადაქცეული და ერნი ევროპისანი—ჯარებად. ის ერიც კი ირთის თავის არსებობისათვის, რომელიც ასი-ათასობით ითვლის თავის დაიარაღებულ ძალას. ევროპის დიდნი სახელმწიფონი ისე უყურებენ აზიას და აფრიკას, როგორც უპატრონოს, ჯერ დაუსახლებელ ქვეყნებსა. მიჰყვეს ხელი მისს ურთიერთ შორის განაწილებას და თვითოეული სცდილობს, რაც შეიძლება, მომეტებული წილი ირგუნოს. მთელს დედამიწაზედ მცხოვრებთა სიმრავლით უდიდესი სახელმწიფო ჩინეთი აღსარებულია უმნიშვნელო რაოდენობად (quantite negligeable); მორჩილებით შეჰყურებს მტრის თარეშობას თავის სამშობლო ქვეყანაში და, თუ სულაც არ დაკარგა დამოუკიდებლობა, მხოლოდ იმ მეტოქეობის წყალობით, რომელიც მის მტერთა შორის სუფევს. ეს შავი დღე ჩინეთს დაადგა იმის გამო, რომ მსახურებდა მხოლოდ შრომის ღმერთსა და დაივიწყა ომის ღმერთი. მაგრამ ამ ბოლოს დროს აზიაში და აფრიკაშიაც გონს მოვიდნენ, დარწმუნდნენ, რომ საჭიროა აღიჭურვონ იმავე იარაღით, რა იარაღითაც აღჭურვილნი არიან მტერნი. ამ ახალმა მიმართულებამ მსოფლიო საქმეთა მიმდინარეობაში უკვე იჩინა თავი. ჯერ აზიელთ დაუმტკიცეს ადუის ბრძოლის ველზედ დიდებულთ რომაელთა შვილებს, რომ «ჩემი ჩემია და შენიც ჩემია», საშიში უსამართლობა არის და მისი განხორციელება არა ყოველთვის შესაძლებელია. დღეს შორეულ აღმოსავლეთში ასტყდა საშინელი ბრძოლა; თუმცა ეს ბრძოლა არის რუსთა და იაპონელთა შორის, მაგრამ, ვინც კი საქმეს ჩაუკვირდება, უთუოდ ადვილად მიხვდება, რომ ნამდვილად დავა არის ევროპასა და აზიას შორის იმაზედ, «თუ საითკენ დაიხაროს ისარი მსოფლიო ისტორიის ცივერბლატზედ».

თუ დღეს დედამიწაზედ კიდევ არსებობს კუთხე, რომელსაც სახელად საქართველო ეწოდება; თუ ამ კუთხეში კიდევ სახლობს ქართველთა ერი, ეს არის თავად-აზნაურობის წყალობა, რომელსაც ჰქონდა ნაკისრი ჩვენის სამშობლოს დაცვის საქმე და რომელიც ამ სამღრთო ვალს ასრულებდა ისეთის თავგამოდებით, რომლის მზგავსიც ბევრი არ მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში.

სულ სხვა გვარი იყო ღარიბ მებატონის მდგომარეობა. ამას არას არგებდა შეჩერებოდა გლეხის ბეგარას. ამისათვის გლეხსავით ჰქონდა გამართული მეურნეობა და მუშაობდა. აქ არ ჰქონდა ადგილი იმ სტუმრობას და ღლახაკთა მოწყალებას, როგორც მდიდართ ოჯახებში; მაგრამ სამაგიეროდ აქაური ცხოვრება სახლიანობით იყო აღბეჭდილი და კაცობრიობაც ბევრად უფრო მეტი იყო. აქ მეჯინიბე ესხა რქა და არა ვაშლი, და თვით ბატონ-ყმობის უღელიც არ იყო ისე მძიმე და სასტიკი. ბატონი და ყმა ერთად მუშაობდნენ, ერთად სვამდნენ და სჭამდნენ და ჰქონდათ ერთნაირი საცხოვრებელი ბინა. იყვნენ შეკავშირებულნი ნათლიმირონობით და მრავალ გვარ საზოგადო მეზობლურ ურთი-ერთობით. გლეხისას ქორწილი ან ტირილი რომ იყო, თავადრიგის მიმცემი და პირველი მოსამსახურე მისი ბატონი იყო.

არავითარს პატიოსანს შრომას ღარიბი აზნაური არ გაურბოდა. ის მღვდელიც იყო და ვაჭარიცა, მჭედელი, მეეტლე, მზარეული და უბრალო ხელზე მოსამსახურეცა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ მღვდელი, რომელიც თავისის ნივთიერის მდგომარეობით გვერდით უდგა ამ რიგის აზნაურს. ჩვენი მღვდელი გლეხკაცებიდგან გამოვიდა. მიწა შერჩა და თითონაც შერჩა მიწას. იმ დროს, რომელსაც შეეხება ჩვენი საუბარი, მღვდელი ისეთივე მეურნე იყო, როგორიც ღარიბი აზნაური და გლეხი. იშვიათად მოხდებოდა, მრევლი მღვდელს თავისსავე სოფელში არა ჰყოლოდა. სავალდებულო გარდასახადი მღვდლის სასარგებლოდ მრევლს ძლიერ ცოტა ემართა. მღდელი რჩებოდა საკუთარის შრომით და მღვდელ-მოქმედებისათვის რასაც მისცემდნენ, იმას სჯერდებოდა.

მიწა ყველასა ჰყოფნიდა. მდიდარს მებატონეს არა თუ ბევრი გლეხი ჰყავდა, მიწა-წყალიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ეს სიმდიდრე უნდა გვესმოდეს შედარებით. ჩვენში არ ყოფილა ისეთი დიდი მამულები, ლატიფუნდიები, როგორც რუსეთში და ევროპაში. მაგალითიც არ ყოფილა, რომ ერთი სოფელი ერთის მებატონისა ყოფილიყოს. პირიქით, მისი ადგილ-მამული იყო გაბნეული სხვა და სხვა სოფლებში და ხანდახან მაზრებშიაც. ღარიბ მებატონეს და თვით გლეხსაც მიწა არ ჰქონია ერთად, იყო დაქუცმაცებული პატარა ნაჭრებად და არეული სხვა და სხვა მფლობელთა ნაკვეთებში.

მიწას ფასი არა ჰქონდა. რომ გეკითხნა, ყველა ადვილად გეტყოდა, რა ღირს «კაცის სული» ან კომლი გლეხი; მაგრამ რა ღირს ქცევა მიწაო, ვერ გეტყოდა, რადგან მიწა არ იყიდებოდა. მიწა უხვად აკმაყოფილებდა მცხოვრებთა საჭიროებას. ერთი რომ ხალხი გასწყდა ჟამობის დროს და მასთან მიწაც იყო ნაყოფიერი, როგორც თითქმის ხელუხლებელი, წარმოება კი მცირე იყო, რადგან ჩვენის სოფლის ნაწარმოებს არ ჰქონდა გასავალი, არც შინა და არც გარედ. ამ დროს ჩვენში ესრედ წოდებული „არა მაწარმოებელი“ კლასი ძლიერ მცირე იყო. მტერთაგან დანგრეულმა ქალაქებმა სული ვერ ამოითქვა. ქუთაისში ნახევარ საუკუნის წინად სამი ათასი სული მცხოვრები ითვლებოდა და ამ მცირე მცხოვრებთ ეჭირათ ძველი ქუთაისის საბინადრო სივრცე, რომელიც დღესაც არ არის დასახლებული. ამისათვის მომეტებული ნაწილი ეწეოდა სასოფლო მეურნეობას და სცხოვრობდა, როგორც სოფლელი. სხვა დაბა-ქალაქები ნამდვილ სოფელს წარმოადგენდა.

გარეშე ქვეყნებიდგან თხოულობდნენ მხოლოდ აბრეშუმს, ბზას და კაკლის ხეს. აღმოსავლეთის დიდ ომის შემდეგ აბრეშუმის ჭია სნეულებამ მოსპო. ბზა იყო მხოლოდ ზოგიერთ მამულებში და პატრონები დაჰხარბდნენ ფულს და სულ მუქთად შეელივნენ. დაუზოგავის ჭრით

*) იხ. „ივერია“, № 235.

ჩვენი გლეხი იმერელივით ფხუკიანი არ არის, მაგრამ თუ გული მოუვიდა, იმერელს აჯარბებს. ძაან ბევრგან მომხდარა მკვლელობა სულ უბრალო მიზეზის გამო. აი, მაგ., ამ ორის კვირის წინად სოფ. ნულში ორ ყმაწვილ კაცს იმაზე მოუვიდა ჩხუბი, რომ არა მე უნდა წინად გავაკრეჭინო დალაქს თმა, არა მეო. ამ ცილობაში ერთმა აილო დანა და მეორე გულში და მუცელში ჩაჰკრა, დაჭრილი სწრაფლად გარდაიცვალა.

ნელი.

# თეატრი და ხელოვნება

**წარმოდგენა თ-დ გ. ერისთავის სახსოვრად.** ძლივს ველირსენით ქართულის წარმოდგენების დაწყებას. მთელის თვის მოლოდინის შემდეგ გუშინ-წინ, 13 ოკდომბერს სახაზინო თეატრში გაიმართა პირველი წარმოდგენა, რომელსაც საგნად ჰქონდა პატივი ეცა ქართულის თეატრის დამაარსებელის გ. ერისთავის ხსოვნისათვის, რაგდან მის გარდაცვალებიდგან წელს, 9 სეკდემბერს, შესრულდა 40 წელიწადი.

მიუხედავად დიდის მომზადებისა და საფუძვლიანის მოლოდინისა, ამ საღამოს სახაზინო თეატრის დიდი დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო. ვერაფრით ვერ აგვიხსნია ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი გულგრილობა საზოგადოებისა და უნდა ვიფიქროთ, ეგ იმის მიზეზია, რომ ხალხმა არ იცოდა, თუ სად და როდის არის წარმოდგენა.

გ. ერისთავის პიესები, როგორც მოსალოდნელი იყო, საუცხოვოდ წარმოადგინეს ჩვენმა მსახიობებმა, რისთვისაც საზოგადოებამ ბევრნი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვა.

მაგრამ საზოგადოების უმთავრესი ყურადღება მიიპყრო სადღესასწაულო აპოთეოზმა, რომელმაც იშვიათის წესრიგით და ელფერით ჩაიარა.

გ. ერისთავის ძეგლისავით აღმართულ ქანდაკებასთან ირგვლივ გამწკრივებულნი იყვნენ წევრნი დრამატიულის საზოგადოებისა, ამხანაგობისა, ყველა მსახიობნი და მომღერალთა გუნდი.

ამხანაგობის წევრმა ბ-ნ დ. დუმბაძემ წაიკითხა შესაფერი სიტყვა. მერე რიგრიგად ქ-ნ ტასო აბაშიძემ, ბ-ნ ივანიძემ და იმედაშვილმა წაიკითხეს გ. ერისთავისვე ლექსები, ბოლოს კ. მესხმა და ნიკოლოზ დ. ერისთავმა დიდის გრძნობით წაიკითხეს განგებ ამ შემთხვევისათვის დაწერილი ლექსები, რასაც საზოგადოება აღტაცებით მიეგება. ორთავე ლექსებს ქვემოდა ვბეჭდავთ. დასასრულ გაიმართა ცხოველი სურათი: ერისთავი თავის ტიპებს შორის. ამ დროს ორკესტრიდან სცენაზე მიართვეს აუარებელი ცხოველ ყვავილებისა და დაფნის გვირგვინი—ჩანგი, რომელზედაც ფრანგულად და რუსულად სწერია: «საქართველოს მოლიერს ბარონ დე-ბაისაგან». ეს წარწერა წაიკითხა კ. მესხმა და მიბრუნდა იმ ლოჟისკენ, სადაც თვით ბარონ დე-ბაი იჯდა; ამ დროს მთელი საზოგადოება იქითკენ მიიქცა და აღტაცებულის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით თავისი სალამი და სიამოვნება გამოუცხადა ძვირფასს სტუმარს. ამას ზედ მოჰყვა ორკესტრის მიერ შესრულებული საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი «მარსელიეზა». ბარონ დე-ბაი მადლობით შეუწყვეტლივ თავს უკრავდა ქართველ საზოგადოებას...

ჩვენ დიდი ხანია არ გამოგვიცდია ამისთანა მძლავრ ცხოველი ენტუზიაზმი და კეთილშობილური აღმაფრენა!.

ბევრი, ძლიერ ბევრი ქართველი ინანებს, რომ არ დაესწრო ამ ღირს შესანიშნავ საღამოს!

—

**თავ. გ. ერისთავს.**

ცახელის ლექსი, წაკითხული თავ. ნ. დ. ერისთავის მიერ.

ხედავთ ამ გმირს, ამ დიდებულს,
სამშობლოსთვის თავდადებულს?!

ხმლის მაგივრად თავ-განწირვით
მას კალამი ეპყრა ხელში
და ამ წმინდა იარაღით
გზას იკვლევდა წყვდიად ბნელში.

დაცემულის მამულის ხვედრს
ყველგან თვალ-ყურს ადევნებდა
და მრუდე გზის მიმომსვლელსა
სწორე გზაზედ აყენებდა.

დასცინოდა საქართველოს
უკუღმართად ბედის ტრიალს,
დასცინოდა ქვეყნის ბრუნვას,
ვაებას და ოხერს, ტიალს.

მაგრამ იმის მწარ სიცილში
იხატება ყველგან გლოვა,
ისმის ბედის სამდურავი,
გულის წვა და სევდათ გროვა...

ერთი ჰქონდა მას საგანი,
საღმრთო სატრფოდ აღებული,
და ეგ იყო აღუფხვრელად
საქართველოს სიყვარული!

გმირო, სანამ ერი სცოცხლებს,
სანამ არსებს საქართველო,
იმ ჟამამდე ცოცხალ იყოს
საქმე შენი სასახელო!

და ტანჯვისგან დაუძლევმა,
შენზე მუდამ მადლიერმა,
შენს წმიდა ჩრდილს თაყვანი სცეს
სამუდამოდ ქართველთ ერმა!

—

**გიორგი ერისთავს.**

ი. ევდოშვილის ლექსი, წაკითხული კ. მესხის მიერ.

ცეცხლი არა სჩანს, ხოლო ნაპერწკალს
ჩასძინებია და განაბულა,
ამშობლო კერა, სამშობლო კერა,
ოხრად შთენილა, დაღონებულა!
ირგვლივ წყვდიადი... კავკასიის მთას
შემოხვევია შავი ღრუბელი,
სევდის ნიავი აფრქვევს ცრემლებსა,
ჩაფიქრებულა დღეს ტყე და ველი...
მაგრამ ჩუ! ბულბულს გამოეღვიძა
«განთიადიო»,—ჩააწკრიალა
და მიძინებულს ხალხისა გულში
მან ააფეთქა ცხოველი ძალა!
ყური დაუგდეთ, იგი იმღერის:
«აღსდექ, აღსდექი, ხალხო ტანჯულო,
და ფრთა გაშალე სამშობლოსადმი,
გულწრფელო მსხვერპლო და სიყვარულო!!
აღსდექი, ლომო, ველზე მძინარევ,
მითხარ, რითი ხარ ნაკლები სხვაზე,
რომ გაატარო ტკბილად სიცოცხლე,
აღმართო დროშა ამ განთიადზე?!.
გალობს ბულბული... ხალხი იღვიძებს.
დაგვიდგა ჟამი გაზაფხულისა...
მთელდება წყლული მრავალ-ტანჯულის
ჩვენის ივერის ტურფა გულისა.
მთელდება წყლული, მას გმირი გმირზე
წამლად, მალამოდ ედება ზედა!
აღსდექ, ამხედრდი, ხალხო ტანჯულო,
და გაილაშქრე ბრძოლის ველზედა!
აჰა, მეჯლიში დღეს საუცხოვო,
ქართულის წმინდა ხელოვნებისა
დიადი ღვაწლი მიუძღვის მასში
ჩვენს პირველს ბულბულს, ჩვენს გიორგისა;
ვაშა ამასაც, სხვა გმირთა შორის,
ვაშა, დიდება, პატივს ცემა!
იმისი ხსოვნა საშვილიშვილოდ
საქართველოს ერს გადაეცემა!!.

—

**ქართული წარმოდგენა ქუთაისში.** კვირას, 10 ოკდომბერს, ქუთაისის დრამატიულმა დასმა, ვლ. მესხიშვილისა და ბ-ნ გედევანოვის მონაწილეობით, წარმოადგინა ბარრეტის 4 მოქმედებიანი და 7 სურათიანი დრამა «ახალი მოძღვრება“ (პიესა გადმოკეთებულია ჰენრიხ სენკევიჩის ცნობილ რომანიდან Quo vadis?.

ეტყობოდა ვლ. მესხიშვილს არც ფული და არც შრომა დაუზოგნია, რომ ეს დასადგმელად ძნელი პიესა ყოველ მხრივ ხელოვნურად მოეწყო,—ახალი დეკორაციები, ახალი ტანთსაცმელები და როლების ზედ მიწევნით ცოდნა,—და საზოგადოებაც მართლაც მადლობელი დარჩა და იმდენი დაესწრო, რომ ბევრი უადგილობისა გამო უკან დაბრუნდა.

მსახიობთა შორის აღსანიშნავია თვითონ ვლ. მესხიშვილი მარკოზ დიდებულის როლში, ბ-ნი გედევანოვი ნერონისაში და ქ-ნი დავითაშვილი მერციას როლში. ხელს უწყობდნენ ანსამბლს ყველანი და განსაკუთრებით ბ-ნი გამყრელიძე და აწყურელი.

შემდეგი წარმოდგენები დანიშნულია ქ-ნ ნინა ჩხეიძისა და ბ-ნ ვალ. გუნიას მონაწილეობით.

სოფლელი გლეხი.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი** მაკედონიის საქმე კვლავ საჭოჭმანოა: იქაურ ბოლგართ გადაემტერნენ ბერძნები და სერბები, თავს ესხმიან ბოლგართა სოფლებს, ჰხოცავენ ხალხს. ისინიც თავს იცავენ ბოლგარელ ინსურგენტების შემწეობით და ევროპა მოწამეა ასეთის საოცრის სანახაობისა: სამი ქრისტიანე ერი, იმის მაგიერ, რომ ზურგი ზურგს მიჰყუდონ და ებძოლონ საერთო მტერს, იუძლურებენ თავსა და ღონესა და ჯანს ილევენ ერთმანეთის მტერობითა და შურითა. ორნი იბრძვიან და მესამე სიხარულშია: ღმერთიც გიშველით თქვენ თავში საცემი გაგიჩნდათ და მე მოვისვენე ჯუფთთა წინააღმდეგ საჭირო ბრძოლის ზრუნვისაგანაო. თურმე რა არის, რა მიზეზია, რომ სერბნი და ბერძენნი ასე გადაჰკიდებიან ბოლგარებს. ის მიზეზია, რომ სერბნიცა და ბოლგარნიც შურს მისცემიან, მაკედონიაში ჩვენცა ვართ და ეს ჩვენი ქვეყანა რად უნდა გადაეცეს ბოლგარიის ჩვენდა დასაჩაგვრელადო. რა იხსნის მაკედონიას ამ დღევანდელ გაჭირვებისაგან? აქ ერთად-ერთი გზაა ხსნისა: მაკედონია არც ბოლგარიას უნდა მიეცეს და არც არავის სხვას, არამედ ავტონომიურ ქვეყნად უნდა გამოცხადდეს ოსმალეთის პროტექტორატობით. რაკი ყველას ერთი სამშობლო გაუჩნდება, სადავო და საშურო აღარა ექმნებათ-რა.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

—

„იურისტმა“ თვალი გადაავლო ერობისა და კანონის ურთიერთობის წარსულს ისტორიას და დაინახა, რომ თვალსაჩინო ხარიხების გადებამ წოდებათა შორის საერობო საქმე მეტად მცირე გუნდს ჩაუგდო ხელშიო. ჟურნალი ბოლოს იმ აზრს დაასკვნის, რომ საჭიროა ერთნაირი უფლება ჰქონდეს საზოგადოების ყოველს კლასსა და წოდებას თვითმმართველობის საქმეშიო.

უფრო ცოცხალნი და უანგარონი ჩამოშორდნენ ამის გამო ერობას და საერობო გამგეობაში ადგილები დაიჭირეს ანგარმა მოჭახრაკეებმა, რუტინისა და ფორმალიზმის მიმდევრებმა. საუკეთესო კაცთა მოსაზიდველად, ერობის საქმის განსახორციელებლად საჭიროა სხვა საკანონმდებლო ნორმები, უფრო სრული და სამართლიანი, ვიდრე ის საფუძველნი, რომელნიც დაუდო საძირკვლად არა თუ 1890 წლის, არამედ 1864 წლის დებულებასაც კი. სრული უფლებრივი გათანასწორება მცხოვრებთა ყველ კლასისა ადგილობრივ საზოგადო მეურნეობის გამგებლობის საქმეში, უფრო ვრცელი უფლება იმისი, რომ ხალხმა თავისი თავი გაიბეგროს თვისდა საკეთილოდვე და გაუბეგრავი არ დასტოვოს არცა ერთი წარმომადგენელი ამა თუ იმ სარეწავისა და პროფესიისა და დამოუკიდებლობა საადმინისტრაციო ძალ-მომრეობისაგან უსაჭიროესი საქმეა ერობის წარმატებისათვის. მხოლოდ ამისთანა გარემოებათა შორის აღარ იქმნება გადაქცეული საზოგადო საქმე წვრილმან ინტერესებისა და ანგარების ასპარეზად. უკეთესნი და განათლებულნი კაცნი კვლავ დაუბრუნდებიან ერობას და საერობო კრებანი იგივე სკოლა გახდება მაღალის იდეალებისა და საზოგადო მისწრაფებათა აღსაზრდელად, გასაფურჩქვნელად. მართალია, კანონს არ შეუძლიან გულ-გრილისა და გაქსუებულის კაცის კარგ საზოგადო მოღვაწედ გარდაქცევა, გარნა თავის-უფალი და ერის აზრთა შესაბამი საკანონმდებლო ნორმები შეძლებასა და ღონეს მისცემს თვისი ნიჭი და უნარი გამოიყენონ საზოგადო საკეთილდღეოდ იმათ, ვისაც ჯერ კიდევ არ გაჰქრობია სიყვარული საზოგადო საქმისა და სწამს კაცობრიობის პროგრესი.

# „ივერიის“ ფოსტა

—

**ქუთაისი. ბ-ნ ი. ხ—ს.** სეზონის გახსნაზე უკვე გვქონდა წერილი.

**ერევანი. მარტვილელს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ლანჩხუთი. დ. ძ—ძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ჩვენ გვჭირდება ფაქტები და მხოლოდ ფაქტები.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ოკდომბერი

**ლონდონი,** 13 ოკდომბერი. (რეიტ.) რუსეთის ელჩი ხანგრძლივ ემუსაიფა სახლში ლანსდოუნს და გულწრფელის სიტყვებით გამოუცხადა თვისი სინანული ჩრდილო ზღვაზედ მომხდარ ინციდენტის გამო. ეგ ამბავი მხოლოდ 11 ოკდომბერს შევიტყე, როცა მატარებელში ვიჯექ და დუვრიდან ლონდონს მოვდიოდიო. მხოლოდ იმ დღეს საღამოზედ-ღა იყო შესაძლებელი დაწყებულიყო მოლაპარაკება საელჩოსა და პეტერბურგს შორის. რუსეთის მთავრობა ვერ შეუდგებოდა აქედან გაგზავნილ ამბის განხილვას 12 ოკდომბრის დილამდე, რადგან დაწვრილებულს ამბავს უნდა მოლოდებოდნენ იმ დღესვე დეპეშით მხოლოდ ნაშუადღევს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მთავრობა, მიიღებს თუ არა დაწვრილებულს ამბავს, ყოველივე ეჭვი და გაუგებრობა გაიფანტება. რაც მოჰხდა, ჩემის აზრით, მარტოოდენ საშინელი გაუგებრობაა, ჯერ აუხსნელი და ღირსი დიდის სინანულისა, მეტადრე ახლა, როცა ინგლის-რუსეთის ურთიერთობას გულითადობის ხასიათი ეძლეოდაო.

ახალშენთა მინისტრმა ცნობილ ინცი-

---

სულაც გასწყვიტეს და გაზიდეს იტალიელებმა, ინგლისელებმა, ბერძნებმა და თათრებმა. ბათუმელის კურტოღლის სიმდიდრე სამეგრელოს ზზაზედ არის აშენებული კაკლის ხის (კუნძის) იმერეთიდან გატანა ერთობ ძვირად ჯდებოდა. სამეგრელოში კი აღკრძალული იყო მისი მოჭრა მთავრის განკარგულებით. ამის გამო ძლიერ მცირე იყიდებოდა.

ამგვარად, რადგან მხარე არას ჰყიდდა, თვითონაც ვერას ყიდულობდა და იძულებული იყო თვითონ მოეყვანა ყოველივე, რაც კი საჭირო იყო მის ღარიბ და განუვითარებელ არსებობისათვის. რადგან აღებ-მიცემა არ იყო, ფულიც ძლიერ ძვირობდა. სყიდვა-გასყიდვა ხშირად გაცვლა-გამოცვლით სრულდებოდა. სარგებელი 24%-დან ასამდის ადიოდა და, თუ პურსა და ღვინოს ისესხებდა ვინმე, ერთი ორად, სამად უნდა დაებრუნებინა.

როგორ ეჭირა მიწა გლეხსა? რა სივრცე ჰქონდა მისს უფლებას? იყო ამ მხრივ ჩვენსა და რუსის გლეხს შუა იგივეობა თუ განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან? როგორც ისტორიულად არის დამტკიცებული, რუსის გლეხი თავიდამ პირადად თავისუფალი იყო. მაგრამ მიწა არა ჰქონდა და მუდამ აბარგებული იყო მიწის საძებრად. ხან ერთ მებატონეს შეეხიზნებოდა, ხან მეორეს, იღებდა მიწას მისგან დასამუშავებლად, რომ ცოლშვილი ერჩინა. სამაგიეროდ, მიწის პატრონისათვის უნდა ემსახურნა, დაემუშავებინა მისთვისაც მიწა შეთანხმებისამებრ. ამ გვარმა მდგომარეობამ რამდენიმე საუკუნე გასტანა და დასრულდა მით, რომ გლეხი მიწას მტკიცედ დაუკავშირეს, ზედ მიაკრეს, დააბინავეს იქ, სადაც იდგა, გახადეს მის ყმად, ვისი მიწაც ეჭირა. მიწა მებატონის საკუთრებად დარჩა ისე, როგორც წინად იყო, და გლეხმა თავისუფლება-კი დაჰკარგა და ერთად მიწასთან მისვე საკუთრებად გაჰხდა. ამის შემდეგ ბატონი სრულ თავის ნებაზედ განაგებდა როგორც გლეხს, ისე მის მიერ დაჭერილს მიწას. ჰყიდდა გლეხს უმიწოდ გარდასასახლებლად (на выводъ) ან მიწიანად. უნდოდა—წაართმევდა მიწას, უნდოდა—მისცემდა. სამართალიც მის ხელთ იყო. ამგვარად გაჩნდა ბატონ-ყმობა რუსეთში.

როდესაც ბატონ-ყმობა მოისპო, მიწა ძველს პატრონს—მებატონეს დაუბრუნეს, მაგრამ რომ გლეხში ძველს გარდასახლების ინსტიქტს არ გაეღვიძნა და წინანდელი მდგომარეობა არ განახლებულიყო, დასტოვეს გლეხის სარგებლობაში დებულების ოქმით დადგენილ პირობისამებრ.

საქართველოს ისტორია ვერ იძლევა იმის პასუხს, თუ როგორ გაჩნდა ჩვენში ბატონ-ყმობა. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მიწა არ ყოფილა იმის მიზეზი. ძველ და ახალ დროის ფაქტები გვიჩვენებს, რომ ბატონი მოშორებით სდგას გლეხის მიწასთან და ხელი უფრო პირად გლეხისთვის ჩაუჭიდნია.

გლეხის ბეგარა სრულიად არ იყო შეზომილი მიწის რაოდენობასთან. ათ ქცევა მიწის პატრონი იმდენს ბეგარას იხდიდა, რამდენსაც სამოცის ქცევის მქონე. როდესაც გლეხი გამრავლდებოდა, ერთი კომლი რამდენსამე კომლად გახდებოდა, თვითოეული ახალი კომლი იხდიდა იმდენს ბეგარას, რამდენსაც ადრინდელი ერთი. იყო შემთხვევანი, როდესაც ერთის მებატონის გლეხი ხიზნად იყო ჩასახლებული მეორე მებატონის მამულში და გარდა იმ მიწისა, რაც ამ უკანასკნელისაგან ჰქონდა აღებული, არავითარი სხვა მიწა არ მოეძევებოდა, მაგრამ ბეგარას მაინც აძლევდა თავის პირდაპირ მებატონეს.

ჩვენი გლეხი, უხსოვარის დროიდან მიწად-მომქმედი, მტკიცედ მიჰკვრია მიწას, მეტის მეტად შეუყვარებია მოსახლობა და სამშობლო სოფელი. მისკენ მიისწრაფვის არათუ სიცოცხლეში, სიკვდილს შემდეგაც-კი, და დიდ უბედურებად მიაჩნია, თუ იმედი არა აქვს, რომ მისი ნაშთი დასაფლავდება მის წინაპართ საფლავთა შორის. იშვიათად სტოვებს თავის სოფელს, უთუოდ აუტანელ გაჭირვებაში უნდა ჩავარდეს, რომ გარდასახლდეს. ვინ არ იცის, რა სივიწროვეა რაჭაში. ამ ოცდა-ათის წლის წინად ზოგიერთს რაჭველს მთავრობამ აფხაზეთში შეაძლია ადგილები. გაგზავნეს დასახედავად არჩეული კაცები, ბევრი იფიქრეს, მაგრამ ბოლოს გარდასახლებაზედ უარი სთქვეს.

გლეხს ბატონი არ აძლევდა მიწას და ვერც ჩამოართმევდა. გლეხი მუდამ დარაჯობდა, რომ მისი მიწა არავის დაეუფლო, მზად იყო სისხლიც დაეღვარა მის დასაცველად. ასე იყო ბატონ-ყმობის დროს, ასეა დღესაც. რამდენი სისხლის საქმეა სასამართლოებში ამ გვარ დაჭრამკვლელობაზედ. ხან-და-ხან სულ უბრალოდ ერთ მტკაველ მიწის გამო მომხდარა შეტაკება და ესეც ისეთ მიწაზედ, რომელიც, დებულების ოქმით, უჭირავს გლეხს სასარგებლოდ და არა საკუთრების სიმართლით. გლეხი სამართლით ეძიებდა მიწას მისგან, ვის ხელშიაც იპოვიდა (საზოგადო სასამართლოში), ეძიებდა თვით თავის ბატონისაგანაც. ჰყიდიდა, აგირავებდა და ჰყიდულობდა თავის სახელზე. მამა რომ მოკვდებოდა, მიწა შვილზე გადადიოდა, ბატონის დაუკითხავად. აუარებელი ძველისა და ახალ დროის ნასყიდობანი, გლეხთა-მიერ წარდგენილი მომრიგებელ შუა კაცთან და საგლეხო საკრებულოში, ნათლად ამტკიცებს, რომ გლეხის ნაქონი მიწა ჩვენში მის საკუთრებად ითვლებოდა. რომ მიწა მისი საკუთრება იყო, ისე მტკიცედ სწამდა გლეხსა, რომ უმიწოდ განთავისუფლება თავისუფლებადაც არ მიიჩნია და დებულების ოქმის შედგენას გამწარებული გაურბოდა.

მხოლოდ ერთად-ერთ შემთხვევაში გაეხსნებოდა გზა ბატონს,—გლეხის მიწა თავის საკუთარ განკარგულებაში მიეღო. ეს მოხდებოდა მაშინ, როდესაც გლეხი უძეოდ გადაეგებოდა. ამ შემთხვევაში გლეხის მიწა (როგორც პარტახი, ბეითალმანი), გახდებოდა საკუთრებად ბატონისა; მაგრამ ეს იყო საზოგადო წესი. ამ გვარივე უფლება ჰქონდა თავადსა თავის აზნაურის მამულზე და მეფესა შესახებ თავითონ თავადისა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თავადისა და აზნაურის ქალიშვილს შესაფერი მზითევი ეძლეოდა მამის მამულისაგან. გლეხის ქალიშვილს კი, არა თუ არაფერი წილი არა ჰქონდა, თვითონაც ბატონის საკუთრებად გახდებოდა. აქ ბატონ-ყმობა უმაღლეს ხარისხამდის მწვავდებოდა. დედას გულში ჩაკრულს შვილს გამოჰგლეჯდნენ და მიჰყავდათ სასახლეში, სადაც უნდა მონათლულიყო ახალის სახელით. აქედგან წარმოსდგნენ ჩვენი მთვარისახარები, ვარდისახარები და მონავარდისები. ეს საშინელი მებატონური უფლება (იმერეთში საუშვილო, სამეგრელოში ნაუსქუუ) თანდათან მცირდებოდა, ასე რომ ბატონყმობის გაუქმების წინად მრავალს გლეხკაცობას დახსნილი ჰქონდა თავი მებატონისაგან.

პარტახიც თითქმის ყოველთვის უბრუნდებოდა ისევ გარდაცვალებულის უმახლობელესს ნათესავს მცირე სასყიდლითა. ეს იყო საზოგადო წესი, ჩვეულებაზედ დამყარებული: «შეგიწყალეთ და გიბოძეთ უძეოდ გარდაცვალებულის შენის ძმის უძრავი მამული, უძებარ-საძებარი, თავის სამართლიანის სამზღვრებით და ჯეროვანი ქრთამიც მივიღეთ, როგორც გული შევვიჯერდებოდა. აწ გიბედნიეროს ღმერთმან შენ და ძესა და მომავალსა შენსა საუკუნოდ, საშვილის-შვილოდ», იწერებოდა ამისთანა შემთხვევაში გაცემულს საბუთებში.

ლუარსაბ ლოდუა.

დენტის შესახებ წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა: ჩვენ, ინგლისელნი, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ვიქცეოდით მთლად ამ მოუსვენრობის დროს. ჩვენი მთავრობა, რამდენადაც-კი შეიძლება, თავაზით ექცევა რუსეთის მთავრობას, დაუყოვნებლივ მიიღო საცნობლად მისი მოწერილი, რომ ჩვენ წილი არ გვიდევს იმ საქციელში, რაზედაც თქვენა სჩივით. ამ სახით ხელს შევუწყობთ მეგობრულსა და მშვიდობიანს საერთაშორისო ურთიერთობას.

**მუკდენი**, 18 ოკდ. (საკ. კორესპ.). ჩვენი ციხის ზარბაზნების სროლა ძლიერ აწუხებთ იაპონელებს, რომელნიც ამ ბოლო დროს დიდის დაზოგვით ჰხარჯავენ საზარბაზნო ტყვია-წამალს. დაზვერვით იქმნა გამოწვლილებული ვითარება საფარ-სანგრებისა სოფელ ფუნდაპუში და სოფ. ქუდიზას სერებზედ. კოშკები აქვთ აგებული, თხრილები გარშემოვლებული რამდენსამე რიგად, მავთულებიანი ლობეები შემოირტყმული და მგლის ორმოები ბევრგან დათხრილი. მხედრობის შუბლ წინ ჯერ ჩამი-ჩუმი არ არის. ათასში ერთხელ დაიწყებს ხოლმე ზუზუნს ზარბაზნის ყუმბარები.

დონელმა ყაზახებმა ჩასაფრებულ ადგილებში უკუ-აქციეს ღამე მიტანილი იერიში იაპონელებისა.

ჯარები ჯან-საღათ არიან, თუმცა ძალიან ცივა. მატულობს რიცხვი ჩვენსკენ ლტოლვილთა.

ყოველდღე მოდიან ოფიცრები ჯარში ნაკლის შესასრულებლად.

**ვარშავა**. მოვიდა საერო განათლების მინისტრი.

**ტოკიო**. რუსმა ტყვეებმა რამდენჯერმე სცადეს გაქცევა, თავს დაესხნენ დარაჯთა და სხვაფრივაც დაარღვიეს წესი. ამის გამო დაწესებულ იქმნა: ის ტყვენი, რომელნიც წინაამდეგობას გაუწევენ დარაჯს, ციხეში იქმნებიან დაპატიმრებულნი; შეთქმულობის მოთავენი და გასაქცევად წამქეზებელნი და თან ძალადობის მიმმართველნი ან ჩამოხრჩობილ იქმნებიან, ან კატორგაში გაგზავნილნი, ხოლო მონაწილენი შეთქმულობისა—დაპატიმრებულნი. მოთავენი სადარაჯოზედ მოწყობილ-მომზადებულ თავ-დასხმისა ჩამოხრჩობილ იქმნებიან, ხოლო მონაწილენი დაპატიმრებულნი. ის ტყვენი, რომელთაც გავანთავისუფლებთ და პატიოსანს სიტყვას მოგვცემენ, რომ მონაწილეობას აღარ მივიღებთ ომშიო, თუ მეორედ ხელში ჩაგვივარდნენ, სიკვდილს მიეცემიან ჩამოხრჩობით.

**ვიგო**. იაპონიის მთავრობამ უბრძანა, ვისაც ჯერ არს, ნება მისცენ რუსეთის გემებს საჭირო სურსათი დაიმზადონ საგზლად. გემი, რომელიც აქ მოვიდა, იუწყება, რომ ლაგოსის მახლობლად 14 გემი შემხვდა ინგლისისაო.

**პეტერბურგი**. გამოცხადებულია შემდეგი ოფიციალური უმაღლესი რესკრიპტები: 1) გენ.-ად. ალექსეევს: „ევგენი ივანეს ძე, გულის-ტკენით შევიწყნარე, თქვენი დაჟინებული თხოვნა განთავისუფლებისა ჩემს მხედრობის მთავარ-სარდლის თანამდებობისაგან შორეულ აღმოსავლეთში. გიცხადებთ გულ-წრფელ მადლობას ყოველ თქვენის ბევრ-გვარად რთულის ღვაწლისათვის და ჯარის უმაღლესის ხელმძღვანელობისათვის შორეულ აღმოსავლეთში ომის დაწყების პირველ გაჭირების დროს. ვჰგიებ თქვენდამი უცვლელად კეთილ-სურვილი». ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: «და მადლობელი **ნიკოლოზი**» ცარსკოე სელო, 12 ოკდომბერი 1904 წ.

2) გენ.-ად. კუროპატკინს: «ალექსი ნიკოლოზის ძე, გავანთავისუფლე რა ჩემი მოადგილე შორ.-აღმოსავლეთში გენ.-ად. ალექსეევი მთავარ-სარდლის თანამდებობისაგან, საკეთილოდ ვსცან თქვენ დაგნიშნოთ ყველა იმ ჩემის ხმელეთისა და საზღვაო ჯარის მთავარ-სარდლად, რომელიც ებრძვის იაპონიას. თქვენი სამხედრო გამოცდილება, მანჯურიაში უფრო განმტკიცებული, მაძლევს სრულს იმედს, რომ თქვენ, ჩემის ქვეითის ჯარის წინ-წაძღოლილი, განსდრეკთ მტრის ძალთა მედგრობას და მით უზრუნველ-ჰყოფთ მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში. ვჰგიებ თქვენდამი უცვლელად კეთილ-სურვილი».

ნამდვილზედ მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: **ნიკოლოზი**, ცარსკოე სელო, 12 ოკდომბერს 1904 წელსა.

**მუკდენი**. (საკ. კორესპ.) 13 ოკდომბერს დილის 10 საათზედ დაიწია ბრძოლა მუკდენიდან სამხრეთაღმოსავლეთად, იაპონელთ შემოუტიეს ჩვენს საფარ-სანგრებს ერდაგოუსთან. მთვარიანი ღამე იყო. ბრძოლამ დილამდე გასტანა. შედეგი ჯერ არ ვიცით, მაგრამ ხმა ისმის, რომ ერდაგოუ აღებულ იქმნაო.

**მუკდენი**, 13 ოკდომბერი. (საკუთარ. კორესპ.). გენერალ კუროპატკინის მთავარ-სარდლად დანიშვნის ამბავი მრთლად ჯარმა აღტაცებით მიიღო. თუმცა ჯარმა დიდი ზარალი ნახა, მისი გულადობა ერთობ აოცებს უცხოეთის სამხედრო აგენტებსა, რომელნიც ამბობენ, ევროპის არც ერთი ჯარი ისე სასახელოდ არ კამოსულა გაჭირვებული მდგომარეობიდან ისეთი არ ნახულის გამარჯვებით, როგორც რუსეთისაო. ყველა დაჭრილები გახიზნულები არიან.

**ხარბინი**. ყოველ დღე ათასობით უბრუნდებიან მორჩენილი ჯარის კაცები თავიანთ პოლკებსაო.

**დალძიაპუ**, 13 ოკდომბერი. (საკ კორ.). ორთავ ჯარის შუბლს ცვლილება არავითარი ჰქონია. ყოველ ღამ პატარპატარა შეტაკება აქვსთ მოწინავე პოზიციების ჯარებსა. წუხელ სამარის პოლკის მოწადინებულებამ გამოაძევეს იაპონელები პუცაშვადან. იაპონიის დადძალმა ჯარმა ჩვენ მოწადინებულებს უკან დააწევინა, მაგრამ მაინც მოასწრეს მტრის თხრილების გადასწორება პუცაშვასთან და ჩანახერგის მიშლა-მოშლა.

**ლონდონი**, 14 ოკდომბერი. (რეიტ.). კუროკის ჯარში. 12 ოკდომბერს ნაშუადღევს, რუსეთის ცხენოსანი ჯარი გამოჩნდა ხსენებულის ჯარის შუბლთან და უკან დაიწია, რაკი იაპონელთ ბატარეიამ ზარბაზნები დაუშინა. შუაღამეზე რუსებმა დაიწყეს სროლა. დილის 4 საათზედ რუსის ქვეითა ჯარმა შეუტია იაპონელთ პოზიციას, ვნება კი ვერ მიაყენა. უკუქცეულ იქმნა მცირეოდენის ზარალით რუსის ჩრდილო ჯარისაკენ. ორთავ ჯარს შუა სივრცე 500—600 მეტრია. რუსის ბატარეები ესვრიან იაპონელებს, რომელნიც იღებენ თხრილებს და აკეთებენ სიმაგრეებს. ორთავ მოწინააღმდეგეს ეტყობათ განძრახვა საზამთროდ ომს განაგრძონ, გენერლის კუროპატკინის მთავალ-სარდლად დანიშვნის ამბავი საერთო თანაგრძობით იქმნა მიღებული და დიდათ შეამსუბუქებს საომარ მოქმედებას.

**ვიგო**, 14 ოკდომბერი, (რეიტერი). ჯავშნიან გემის „იმპერატორ ალექსანდრე მე-III“-ს აფიცერი თავ. წერეთელი ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ ზღვაში ერთ სატრანსპორტო გემს გარს შემოერტყა 8 ნაღმოსანიო; გემმა დახმარება ითხოვა; ნაღმოსნებმა არ უთხრეს თავიანთი ვინაობა და ამასთანავე ზარბაზანიც ისროლეს. მაშინ ადმირალმა გაამწკრივა გემები საომარ წესზედ და აუტეხა ტრანსპორტს სროლა. ამის შემდეგ რუსის გემებმა განაგრძეს გზა. ჰფიქრობენ, რომ ნაღმოსნები იაპონელებისა იყვნენ.

**პეტერბურგი**. გენ.-ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს, 14 ოკდომბრის თარიღით: «ჩვენის ლაშქრის მირცხენა ფრთეზედ 12 ოკდომბერს, დილით, იაპონელებმა სროლა დაუწყეს თხრილებისაკენ, მაგრამ ერთ პოლკს ორის მახლობლად მდებარე სანგრებიდგან მზვერავთა რაზმმა განდევნა მტერი ორისავე სანგრებიდგან, მაგრამ რადგანაც მტერმა ზარბაზნები დაუშინა, მზვერავები ისევ პოლკთან დაბრუნდნენ. 13 ოკდომბერს ბრძოლა არ ყოფილა».

**მადრიდი**, 13 ოკდომბერი, (რეიტერი). როგორც ვიგოდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რუსის აფიცრები ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარს ინციდენტს ამნაირად ჰხსნიან: ისინი ამტკიცებენ, რომ ღამით სიარულის დროს ესკადრის პირდაპირ შევნიშნეთ ორი ნაღმოსანი; ჩვენ ვიფიქრეთ, რომ იაპონელთ ჩვენზედ იერიში მოჰქონდათ და ამიტომ სროლა დავუწყეთო. აფიცერთა სიტყვით, იმ გემებზედ, რომელთაც ჩვენ ვესროდით, არც ერთი ისეთი მეზღვაური არ იყო, რომ მეთევზეს ჰგვანებოდეს. აფიცრებმა არ იციან, დაიჭრნენ თუ არა მეზღვაურნი ამ ნაღმოსნებზედ. ისინი მწუხარებას აცხადებენ ამ უნებლიეთ შეცდომის გამო.

**ჩიფუ**, 13 ოკდომბერი. (რეიტერი). რუსების ცნობათა თანხმად პორტ არტურში სიწყნარეა. ყუმბარების დაშენა იაპონებმა შეასუსტეს. რუსები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ყუმბარები სამ თვეს ეყოფათ! ბლომად აქვსთ ტყვია-წამალი, რომელიც იაპონელებს წაართვეს. დალნიდან მოსულ სარწმუნო დეპეშის თანხმად იაპონელები ამაგრებენ პორტ-არტურის მიდამოებში მთას. ყოველ დღე ორთა შუა რიცხვით მოდის ორი ტრანსპორტი ტყვია წამლით და იარაღით დატვირთული. საავადმყოფო ავსილია დაჭრილებით. ყველა სახლებს წითელი ჯვრის საჭიროებისათვის ხმარობენ. ჩინელები იუწყებიან, ვითომც პორტ-არტურში მივიდა ერთი სურსათით დატვირთული გემი. ამბობენ, რომ რამდენმამე გემმა, დატვირთულმა ინგლისურის ქვა-ნახშირით, რომელიც მიღებული იყო ცხიდაოში გერმანიის გემებით, მოახერ- ხეს ალყის გარღვევა. ის ხმა, რომ იაპონელების რაზმებში ომობენ კორეველნი, მართლდება.

**შანჰაი**, 13 ოკდომბერს. (რეიტერი). პორტ-არტურს, როგორც ხმა ისმის, მთელი დღის განმავლობაში საღამომდის ცეცხლი ეკიდა.

**ნიუზვეინი**, 13 ოკდომ. (რეიტერი). ცნობა სათევზაო გემის «სილვიას» დაღუპვის შესახებ რუსეთის ესკადრის შეხლის დროს მოკლებულია ყოველს საფუძველს. გემი ორკნეიში მოვიდა.

**ბრესტი**, 13 ოკდომ. (გავასის სააგ). რუსეთის ქვა-ნახშირის ტრანსპორტი აქაა ახალი ინსტრუქციის მოლოდინში. ნაპირზე გამოსვლა სასტიკად აღკრძალული აქვს. რუსეთის კონსული გაწვეულ იქმნა გემზე, რომ შესაფერი ღონისძიება მიიღოს გემის სურსათის მხრით უზრუნველ მყოფობისათვის.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ი,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

# ახალი საყმაწვილო ჟურნალი

# „ნაკადული“

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

## პ რ ო გ რ ა მ მ ა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეკდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე **3** მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა რედაქციაში.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება**: რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი**: Тифлисъ. Редакція журн. „НАКАДУЛИ“.

# ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „**ცოდნა**“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 „ |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

# ბ ა ლ ა ნ ს ი ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ კ ი ს ა

1 ოკდომბრისათვის 1904 წლისა..

ა ქ ტ ი ვ ი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 42066 | 19 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ. | 300 | — |
| III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 1107 | 54 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 272063 | — |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . . | 13281 | 82 |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. . . . . . | 420 | 90 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს ტ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 21141—00 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 58726—00 | | |
| გ) საქონელზედ . . . 22579—50 | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 4514—00 | 106960 | 50 |
| XI. გარდახდილი პროცენტები . . | 12676 | 28 |
| XII. %%% კუპ., %%% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 217 | 21 |
| XIV. მოწყობა და მომართვა . . . | 2112 | 29 |
| XV. კორესპონდენტები: | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) 93736—99 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 42380—02 | 136117 | 01 |
| XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ | 228 | 30 |
| XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 474 | 39 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯები . . . | 13170 | 60 |
| ბალანსი | 620236 | 17 |

პ ა ს ი ვ ი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 793 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 88737 | 96 |
| II. სათადარიგო თანხა: . . . | 9386 | 38 |
| III. შემოტანილი თანხა: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . 140063—00 | | |
| ბ) ვადით . . . 150628—33 | | |
| გ) უვადოთ . . 2850—00 | 293541 | 33 |
| IV. გარდამავალი თანხა . . . . | 1932 | 49 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 1063 | 18 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 26 | 10 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§ ის თანახმად . . . | 806 | — |
| VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა . . | — | — |
| IX. კორესპონდენტები: | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) 49321—92 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 71973—90 | 121295 | 13 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფილისის განყოფ. . | 10000 | — |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ. ბანკის განყოფილებაში . 26200—00 | | |
| სხვა ბანკებში . . . 33700—00 | 59900 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ. | 2830 | 05 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | 28887 | 83 |
| XIV. 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი. . | 1763 | 75 |
| XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა . | 40 | — |
| XVI. განუყოფელი დარჩენილი ფული 1903 წ. | 25 | 97 |
| ბალანსი. | 620236 | 17 |
| პასუხის-მგებლობა 763 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდა . . . . | 798641 | 64 |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . . . . | 5600 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. . . . . | 9117 | 51 |